77

# საქართველოს გაზეთი

ტფილისის იჱ დღესა ჩყით წლისა თვეისასშია:

**Но. 20.**

## ა ნ კ ტ პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ს

### უმაღლესი ბრძანებანი

მაისის კე.

ცარსკოესელოდან

შინაურთა გარემოებათაგამო

მხედრიონთა შინა შინაგანისა დარაჯისა- თა მხედრიონთაგან შინაგანისავე დარაჯი- სათა.— ტფილისის მხედრიონის პოდპორუჩიკი კონდრატიევი პენზენის მხედრიონში.

### უახლესი ამბავი

რომელიმე უფალი გარრისონ კენტერბურღელი დანაძლევდა 300 ლინვად (ლინვა არის ანგლი- ური ოქრო ნახევარ_იმპერიალის ფასისა), რომ კენტერბურიდამ უნდა მისულიყო ცხენით ლონ- დონში (რომელიც არის 56 ანგლიური მილი ანუ ალაჯი) არა უმეტეს, როგორც სამ სა- ათზედ და 57 მინუტზედ.— იმან გამოიცვალა ?? ცხენი, და რომლებიც მივიდა არ იყო მა- ლიან დაღალული.— და ერთვე თვითონ საათს რუმბზედ გატეული 4 ანგლიური ანუ ნემეცკუ- რი მილი ანუ ალაჯი!

### უმაღლესნი ბრძანებანი.

მაისის იბ

ცარსკოესელოდან

სამსახურის მიზეზით მხედრიონთა შინა შინაგანის დარაჯისათა. ქვეითის ჯარიდამ: 8 იეგერის პოლკის პორუჩიკი მიხაილოვი ტამ- ბოვის მხედრიონში.

გარნიზონიდამ ელისავეტგრადის გარნიზონის პოლკის პოდპორუჩიკი ლურველინი ვორონეჟის მაგალ.

განთავისუფლდებიან სამსა- ხურიდამ:

მოზდოკის გარნიზონის მხედრიონის პოდპო- რუჩიკი ავგუსტოვი სნეულების გამო პორუჩი- კად.

გარდაცვალებულნი გამოირიცხვიან ნუსხი-

პოლკში თფილისის გარნიზონში მაიორი ფრონსკი და პორუჩიკი ბეგროვსკი.

მაისის 25

გარდაიცვალნენ.

სნეულების მიზეზით. ტროიცკის ქვეითის პოლკის მაიორი კრაპ ბენზენის შინაგანის გარნიზონის ბატალიონში.—

ელიზავეტპოლის გარნიზონის პოლკის პორუტჩიკი ზახაროვი ითხოვნის კამანდასა შინა მსახურთა ინვალიდთასა.—

მაისის 27

წინა მოვდგნი

ნამსახურობისათვს დაჯილდოებულთა წოდებულთა ქვეითის პოლკების უნტერ ოფიცერს პრაპორშიკობა ხუმრდალის პოლკის შელის ვილენის შინაგანის გარნიზონის ბატალიონში.

დაინიშნების.

7. კარაბინერის პოლკის მაიორი კანდაუროვი კომანდირად ბაქოს გარნიზონის ბატალიონისა.

ივნისის 1

გარდაიცვალნენ.

სნეულების მიზეზით გარნიზონის პოლკებში

ქიკუმირის ქვეითის პოლკის პორუტჩიკი ბეჩკოვსკი ასტრახანისაში: ქვეითის პოლკებში ბელევსკის ქვეითის პოლკის შტაბს–კაპიტანი სამინოვიჩი სმოლენსკის პოლკში.

კამანდათა შინა მოსამსახურეთ ინვალიდთასა 7 კარაბინერის პოლკის პოდპორუტჩიკი ბასიუროვი კამმოგისაში მორგევსკი ფოტევსკისაში 8 იეგერის პოლკის პორუჩიკი რეშეტნიკოვი ორენბურღისაში.

დასასრული სასწავლებელსა შინა თქმულის შესხმისა

ესე ვითართა უბადრუკებათა ნუ უკუე არა აქუნდათა ზედა – დასხმად აქაურთაცა ზედა მოსწავლეთა? — ოდესცა ხშირად მრთელთა შინა თვეთა განეშორებოდნენ იგინი სასწავლებელთა და ზრუნვიდენ მხოლოდ დაცვისა სიცოცხლისა თვისისასა; მაშინ ვითარით წარმატებათა შესაძლო იყო მათგან მოლოდებად? შემდგომად ამათ უბედურებათა, ჩემ მიერ წარმოთქმულთა, არა მალ–მიმხ მე დავიდუმო გხედავ, რომელ მისვე 1811 - წლითგან ვიდრე 1816-დმდე იყვნენ რომელნიმე მოსწავლეთაგანნი ესრეთნი, რომელნიცა სახსრად, ვითარცა ადსრულებისა თანამდებობათა თვისთასა, ეგრეთვე ქცეულებისაცა, ყოველთავე შესაძლებელთა თანა ლონის მიებათა მთავრობის მხრითგან, არა ლირს იყუნენ ვიდრემდე სახელსაცა ყრმათა მოსწავლობისასა. უკანასკნელ არათუ საწყენად თქვენდა, უბადრუკებულნო მშობელნო, არამედ იდენ დასაცველად სიმართლისა, თანა მაქს მე მოხსენებად, რომელ ყოველთავე შინა განვლილთა დროთა ვიდრე დასრულებადმდე 1818-წლისა წარმატებანი შვილთა თქვენთანი ვერიად განმენელებულ და დაყენებულ იქმნებოდნენ განშორებისა მიერ მათისა სასწავლებლითგან ვითარცა თვით თქვენცა კარგსთ ცნობილნი, არა თუ ოდენ ლღით და კვირით, არამედ მრთელით თვეებითცა. აწ შეკრებულებასა ამას შინა უბადრუკებულთა გვამთასა სასწავლებელი [illegible]

თვისის მიერ თჳთვე თქვენდა, რათა არა დაუტკბოთ მეცადინობად, რომელ ჯამნი რჩეულნი თქვენნი მოუხელელობითა თვისითა არა წარსწყმედენ უმეცრებისსა ღრმსა, და მით არა იხმარებდენ ბოროტად ერთმთავრულთა უხვებათა მოფენილთა მათ ზედა. მზრუნველობათა მთავრობისათა და შრომათა მოძღვართა თვისთაითა. თუმცა მრავალნი შევიდნენ სამსახურსა შინა, ვითარცა სამხედროსა, ეგრეთვე სამოქალაქოსა, და განაგრძობენ მას საქებელად, რომელსაცა ძლმოსაჩინებელად მსახურებენ უმაღლესნი მისაგებელნი, მათ მიერ ქონებულნი; გარნა უკეთუ თქვენ, მოწაფენო ქრისტიანენო, განისილენით ვითარცა მე ნაკლულევანებანი ცნობათა შინა, რომელნიცა წ ი ნ ა ‿ დ ა დ ე ბ უ ლ ‿ ი ყ ვ ნ ე ნ განსჯისაგნი თქვენისა მიმართებისა შინა ოთხთა ღვთისა ან აქა მოსწავლეთა მიერ; მაშინ ესე არიან უეჭველად კუალნი ზემორე აღწერილთა ჩუენ მიერ უძლიერესთა დაბრკოლებათანი აქამომდე ჯეროვნად წარუხოცელნი. გარნა დასრულებითგან განვლილისა 1818ისა წლისა მიღებულ არიან ღონისძიებანი და—უკანასკნელი ბოროტი. ესე იგი მოუხელელობა მოწაფეთა აღსპობილ არს. აქა უკვე მეცნობენ შესაბამებულნი უმჯობესისა სახით წინა დადებულისაებრ საგანისა კარგიერებანი და წინა მდებარე არიან ვითარცა მოსწავლეთაებრ ეგრეთვე მასწავლებელთაებრცა ყოველივე საშუალობანი და ღონის-ძიებანი საჭირონი უძლიერესისაებრ წარმატებათა: აქა უკვე მოეცემის ჯეროვანი ფასი შრომათა თვითოეულისა მოძღვართაგან და მოსწავლეთაგანისა—და თვინიერ ამისა შემძლებელ არსა მოქმედებად არსება ჭ-ბულის-სმის-ყოფითა და ნებაით ნიჭებული.

აქა უკვე შესაწევარნი კეთილისმყოფელობისანი განმხნევდებიან, ვითარ იგი, უფალმან სოფლნიმან ქესხელიცისა სულისა და რასპრავისაგან ანთიგენ ნიკოლაევიჩმან კუნიცინმან უმსხვერლნა ოთხნი ქარგანი ღვთლრაფთულნი—ვისითა ათის რუბლისა თეთრის ფულისა ხოლო შემდგომად მასსა უფალმან თვილისის პოლიციმეისტერმან აპოლონ ვასილიევიჩმან კახანოვმან — ხუთნი ქარგანი ღვთლრაფთულნივე და ექვსნი წიგნნი სრულიად ოცდა ხუთის რუბლისა თეთრის ფულისა რომელთაცა შესაწევართა თჳს სასწავლებელი უსაამოვნესად, ვალად თჳსად შერაცხს დღესასწაულობით განცხადებად მაღლამი თჳსისა მადლობისა; მოკლედ ვსთქვა განსანათლებელი ესე ადგილი რომელსა შინაცა მოსახლეობენ არიან მომავლისაებრ სამოქალაქოობითისა გამოცდილებისა ჭავეთასა შეუწყობელად უაღმატებულესნი აწინდელთა ზედა წარმატებანი,—ესე ადგილი სიბნელისაგან აღმოყვანებულ არს ნათელსა ზედა განმხნობილ-არს განშვენებულ არს განბედნიერებულ-არს აქა, მოწყალენო უფლისწულნო, ნაყოფნი მზრუნველობისა მთავრისანი რომელისამიცა უცვალებელად ვალად თჳსად დაადგენს სასწავლებელი შეწირვად დღესასწაულობით თჳსისა მადლობისა.

ჵ! შენ რომლისაცა სკიპტრასა ქუეშე ესოდენნი მილიონნი მოკვდავთანი ნეტარებენ რომლისაცა სახელსა ჩრდილოეთი და სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი აკურთხევენ:—შენგან ვითარცა წყაროსაგან ყოველთა წყალობათა ხს მოეფინების ყოველთავითი ამათ ყრმათა ზედა რომელნიცა წინაშემდგომარე არიან ღუთაებრისა შენისა გამოსატკულებისა და ულრმესითა კეთილმოწიწებითა მიმხედველნი მას ზედა შენდამი მხოლოსა შესწირვენ გონებათა და გულთა თჳსთა ვედრე საფლავადმდე.

უპატივცემულესნო მხილველნო ვითარცა მოსწავლენი აქაურნი, ეგრეთვე მოძღვარნიცა მათნი სრულიად საზომით ჰგრძნობენ პატივსა რომელიცა უქმენით თქვენ მათ ხუთ დღე მოხედვითა თქვენითა და პატივი ესე მათთჳს ეგზომ უსანუკველეს და უაღმატებულეს არს, რომ

მელ იგინი ღირს იქმნენ ქრისტესა გუამთა შე-
ნა თქვენთა პელტიერგზნისა თუხასა მოწამეთა მ-
მოწრიფად მოხურნეთა მისთა და უმწვერვალესად
მოხსრულთა მისთვს. უფლებრივ იგი ერთ სუ-
ლად პირითა ჩემითა მოუგართმევენ თქვენ უმ-
გრძნობელესთა მადლისათა თვსთა.

## იშვიათი ცოლი

### სწორედ მომხდარი ამბავი.

დიდი ხანია, რომ მოსკოვში რომელსაღაც გმასაყოველად მდიდარს მოქალაქეს ჰყვანდა მარტო ერთი შვილი ქალი. დედმამას სული არ ეშურებოდათ იმისთვს, გაანებივრეს და იმათი საყვარელი შვილი ივანუშკა (რომლისაც სწორე სახელი დამავიწყდა) შეიქნა ოცის წლისა უმეცარი, ლოთი და ჭირვეული თითქმის ვირისა და წერაც არ იცოდა და ლოთობა ცემა იმისი საქმე იყო იმისი მეგობრები ამხანაგები და მსგავსი იყვნენ მოსკოველნი მეჯამბრიკენი, დედ მამა ვერ გაუმაძღარნენ ვერც ერთის სიტყვის თქმასა, და ის იმათ ერთ ფულს არ აგდებდა, როგორც ითქმის. მოხუცებულთ მოიფიქრეს იმისი ცოლის შერთვა ამ იმედითა, რომ ცოლს შეირთავს და გამოიცვლება.„ ცოლი შეირთე ივანუშკა. ისინი ეუბნებოდნენ იმას; ეს ერთი მაინც დაგვიჯერეო.„ არ მინდა ცოლიო, ის იმათ უპასუხებდა უჯავრობით; ჯერ კიდევ მინდა შევექცეო? — დიდს ხანს არ თანახმობდა ისი, რომ ძლევს რულებინა ხათხოვარი კვეთილთა და უჭლიურთა მშობელთა თვსთა, ბოლოს დროს იმათმა შეწუხებამ და ცრემლმა მოსდრიკეს.— მაშ კარგია, უთხრა იმათ პატრონი პატარძლითა ცოლს შევირთავ. გო რადგან თქვენ ეს გინდათ, და თუ კიდეც ჩემის გუნების საცოლე გიშოვეთ.

დაუწყეს ივანუშკას ცოლის თხოვნა. ჰკიშინჯეს ერთს, მეორეს, მესამეს, მეოთხეს; მაგრამ იმათში არც ერთი არ ერგო ივანუშკას ბოლოს დროს თვალშეიომყვარდა იმას მაშა, ქალი ერთის ღარიბის დიაჩოქისა ობოლი, უმამო, უდედო და თითქმის უშნიოთო მაგრამ ის როგორც მასხუკან თვითონვე იტყოდა ხოლმე არა ჰქონდა მაშინ ამ საცოლოსთან საკუთარი როგორიმე მიდრეკილება ანუ ნდომა შერთვისა და რადგან გარდაიწყვიტა იქნება ერთხელაც არის, რომ ნუგეში ეცა ღვდმამის თვის ატყობა იმათ თავსი გამორჩევა. ამის პასუხად უთხრეს მოხუცთ აბა როგორ იქნება, ჩვენო ტრფო ივანუშკავ, რომ მამა შენი ჰყეს ქალსა, მამა ვასილის ქალსა და ამა და ამასა, ამა და ამასა ამრევენ მზითევად ამდენს თეთრსა ამდენს მარგალიტსა, და მაშა თუმცა არის კარგი ქალი, და გონებიანი, მაგრამ არა აქვსრაო.„— მამავ, შენ ხომ გაქვს თეთრი, და დედავ, შენ ხომ გაქვს მარგალიტი, ვისთვის ინახავთო? თუ მაშა თქვენ თვს სასიამოვნო არა არისო, მაშ არავის შევირთავ და სალდათად შევალო მშვიდობით.—„ დაიცადე, დაიცადე შენ გამზდას რას ამბობ თუ ღმერთი გწამსო ჩვენ მარტო, ისე გითხარითო. შენი ნება არის შეირთევ მაშაო, სულ ყველას მოგცემთ შენ და იმას. თუ გინდა დღესვე კელსაც ჩაუგითვლითო.

(ამისი შესრულება შემდგომში იქმნება)